№ 14
1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—კალოს პირული—ლექსი, დ. თურდოსპირელისა 3

II—როგორ მოიშორა ხველა-სურდო ბიძინამ.—თ. რა-
ზიკაშვილისა 4

III—ლადო ლორთქიფანიძის ხსოვნას.—ვ. თამრიშვილისა . . 9

IV—ყველაზე საჭირო რამ ქვეყანაზე.—ავგენტის ისაკიანისა (სომხურით), ე. კ— ისა 10

V—აქლემი.- (რუსულით) ლ. ელიავსი 14

VI—როგორ აღწევს თავს ციყვი უბედურებას.—(ვაგნერიდან) ლ. ეიფეანისა 16

VII—ვირის თავგადასავალი.—XVI მედორი, (ფრანგულით) ნ. ამიდახვრისა 21

VIII—ა) შარადა,—ბ) რებუსი 24

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკადული

წელიწადი მე-V. № 14 ივლისი 1909 წ.

ელდაბნო, სადაც ქართველებისთვის მოელსწვლია სამუშს.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—კალოს პირული—ლექსი, დ. თურდოსპირელისა..... 3

II—როგორ მოიშორა ხველა-სურდო ბიძინამ.—თ. რა-
ზიკაშვილისა 4

III—ლადო ლორთქიფანიძის ხსოვნას.—ვ. თამრიშვილისა.. 9

IV—ყველაზე საჭირო რამ ქვეყანაზე.—ავეტის ისაკიანისა (სომხურით), ე. კ—ისა 10

V—აქლემი.—(რუსულით) ლ. ელიავასი.....14

VI—როგორ აღწევს თავს ციყვი უბედურებას.—(ვაგნერიდან) ლ. ეიფეანისა 16

VII—ვირის თავგადასავალი.—XVI მედორი, (ფრანგულით) ან. ამილახვრისა.....21

VIII—ა) შარადა,—ბ) რებუსი.....24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალოს პირველი

ეენ, დილის მზეო, ლამაზო,
ცხოველო სხივებიანო,
ჰატარა ბლეხი მოგმართავ,
ამო, არ დაიგვიანო!

კალოზე ეანა გავშალე
ოქროს თავთავა, ფხიანი,
სხივი დაუშვი, გაფიცხდეს
ლამაზი მარცვლებიანი!

ნიშა, ნიკორაც დაუვლის
ბევრი დაიწყებს სრიალსა,
დღისით შენ გიმღერ, შეგხარი,
საღამოთი-კი — ნიავსა!

დ. თურდოსპირელი



როგორ მოიშორა ხველ-სურდო ბიძინამ

ებერვალი დადგაო, ხეში წეალი ჩადგაო, ჩიტმა-ჩიორამაო ჯაგვში ბუდე ჩადგაო. ჩადგა წეალი და ახლა როგორა! ჭკარა ზენა ქარმა ლეღმა და აქამდე თეთრად მოელვარე მცივანა თოვლი უცებ რაღაც სახიდან შეიშალა, ფერი გაულურჯდა, შუშის მსგავსი გახდა, დასველდა, ძირში წეალი ჩაუგუბდა, თვითონაც თანდათან წეალში ჩაერილ შაქარივით დნობა იწეო და ბოლოს სულ სადღაც გაიპარა; წეალმა კი ზოგმა მიწაში გაჟონა, ზოგი გუბეებში ჩადგა, მომეტებულმა გუბეებიდგან გადახეთქა და გველივით კლაკვნით დაბლობისკენ გასწია, იქ სხვა ამხანაგს შეხვდა და გათამამებულმა ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბექზედ გადაეშვა, სიმღერაც შემოსძახა.

კარმიდამო და ქუჩებიც გაშრა. გაშრა და გაეხარდათ ბატარა ვოგო-ბიჭებსაც, აქამდე რომ სიცივის შიშით ჩიტის ბარტყებივით სახლებში იეკნენ შეეუჟულები. ძალე ისევ ერთმანერთი იპოვეს დობილ-ძმობილებმა; მთელი საათობით ხან ბურთაობდნენ, ხან სალაობდნენ, ხან კოჭაობდნენ. არ დაგიდევდნენ, რომელი ვაჟების სათამაშო იეო და რომელი ქალებისა. სკოლიდან დაბრუნებული ბიძინაც სულ ამათთან ერთმევდა სულსა.

— მოდი სახლში, ბიჭო, ხომ ხედავ მზე ჩავიდა, ეინვა გაძოუშვა, უძახდა ბიძინას დედა.—არ გამიცივდე, ავად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიხდე და ცეცხლზედ წყალი არ დამისხა. ხომ ჭუჭყიანია, ისევ ზამთარია. შემოდი სახლში!

მაგრამ თამაშობით გატაცებულ ბიძინას აინუნშიაც არ მოსდიოდა დედის დარიგება. გაწითლებულ-გაოფლიანებული ბურთს ხან ისროდა, ხან დასაჭერად დასდევდა, ხან მიჯნაზედ გარბოდა.

— გაათავეთ, ბიჭო! უძახის შეწუხებული დედა. ცუდი მოარულები დაიარება, არ გამიცივდე, არ დამღუპო!

— ეს საათში, დედა, ეს საათში, აი საცაა გამოვათავებთ,— ეძახის მხიარულად ბიძინა, მაგრამ იქვე ბიჭები კოჭსა თამაშობდნენ და გახურებულ-გაოფლიანებული ახლა იმათ დაადგა თავზედ და დაუწყო კოჭის ერას ცქერა. ცოტა ხნის შემდეგ სიცივე იგრძნო; ითმინა, ითმინა ბიძინამ, მაგრამ როცა სიცივემ ცხვირი და ეურები საკმაოდ აუწვა, ველარ მოითმინა და მოკურცხლა სახლისაკენ.

— ახლა-კი შემცივდა, დედა, სთქვა დაღრეჯით ბიძინამ, ძაან აცივდა, ქარი ამოვარდა.

შუაღამე იქნებოდა, როცა ბიძინას გამოელვიძა. ყელი ეწოდა, ცხვირში უჭერდა. ოჭ! ოჭ! ოჭ! ახველებს ბიძინა. თან ყელში ულიტინებს რაღაცა და სულის ქცევას უშლის. ოჭ! ოჭ! ოჭ! ახველებს, რაც ძალი და ღონე აქვს, სცდილობს ამოატანოს ნახველს, ი რაღაც რომ ეცობა ყელში.

— უი, დამიდგა თვალები! ამას ხომ სიცხე აქვს! ახლა ამშენებია ოჯახი!—ამბობს შეშინებული დედა, —აკი გითხარი, შე უსამართლოვ, ნუ თამაშობ, გაცივდები-მეთქი, კი ვერაფერს შეგასმენს კაცი და!

დედამ ჩაიხუტა გულში თავისი ბიძინა და თბილად დახურა, მაგრამ ხველამ მაინცრამდენჯერმე გამოაღვიძა! მეორე დღეს ბარემ დედა არა ჭგზავნიდა ბიძინას სკოლაში, მაგრამ იმან არა ქნა, ხველა-სურდომ უნდა სწავლას მომაცდინოსო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა რამდენიმე დღე და ბიძინას ხველამ უფრო უმატა. ახლა სულ აქლოშინებდა, ცხვირი გაუწითლდა, ცინგლს წამდა-უწუმ ცხვირსახოცით იწმენდდა. მასწავლებელს ეთქვა: მაკვე და მლაშე რამე არა სჭამო, დედას უთხარ, ოფლი მოგადინოსო. დედამ ტკბილი წამალი დაალევინა, ოფლის ჩაიც ასვა, მაგრამ ბიძინამ საბანი არ დაიეენა, ოფლი არ დაისრულა.

დედამ ალარ იცოდა, რითი ეშველნა.

— იცი, დედა,—გამოეხმაურა დედას ბიძინას მოზრდილი და დარიკო, როცა ბიძინას მაკვე საჭმლის შემდეგ ახველა და ახველა,—ბიძინას თავს დედოფალი შემოვავლოთ, უეჭველად უშველის, აგერ ვარდოს ეგრე არ მოაშორეს ხველა-სურდო!

— თუ-კი უშველის რასმე, რაღას ელი, ადექი და ააშენე დედოფალი.

დარიკო ხელად დაფაცურდა. ბიძინასაც გააგებინა თავისი განზრახვა, ორივენი ხალისიანად შეუდგნენ საქმეს. დარიკომ ხელად შეკრა ჩხირების ჯვარი და მოჭვა დედოფლის აშენებას. ჯვარს ირგვლივ სუფთა ნაკუწები შემოახვია და მერე თავი თეთრის მჩვრით შეუკრა. თეთრი სახე ჯვარედინად შავის მაფით გადუკერა თვალებისა და წარბების მაგივრად. მერე კაბა დაუჭრა და შეუკერა; სარტყელ-გულისპირით გამოკვანწა, თავზე ლეჩაქის ნაგლეჯი დაჭხურა, ელზედ წვრილი მძივის ღარტდე დაჭკიდა, მხრებზედ ჭრელი ნაჭერი წამოასხა შალის მაგივრად.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო! აბა, როგორ მშვიდობით გიკითხოთ თქვენი შვილებითა?—აქნევდა თავს დედოფალი, ვითომ სალამს ამლევსო და თან იმის მაგივრად დედას ეკითხებოდა დარია ქალი.

— საგზალი არ უნდა გამომიცხოთ? წასვლა მინდა, ნულარ დამაგვიანებთ, გმელი გზა მაქვს გასავლელი.

— ემ საათში, ქაჯან, ემ საათში! ცოტა ხანს მოითმინე, დაბძანდი, სანამ ჩვენ ბურსა და ნაზუქს გამოვაცხობდეთ,—უბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხებდა თვითონვე დარიკო. ბიძინა-კი შორი-ახლოდან ცა-ლის თვალით გადმოსცქეროდა; დარიკოც გაჩქარებით ჯამში ჰატარა ცომსა ჭზელდა. როცა დარიკომ შაურიანის ტოლი კვერების გუნდები ამოიღო და თხელება დაუწყო, ბიძინას გულ-ში ვეღარ მოუთმინა.

— მეც გიშველი, დარია! გუნდებს ამოვიღებ, გავათხელებ!

— მოდი და მიშველე, თუ-კი მიშველი, რაღასა ზიხარ?

ჭაიდა! უნდა გენახათ, ჩვენი ხაბაზები რა გულიანად აკრავ-დნენ ფეჩის გვერდებზე ჰატარა კვეკვერებს!

— ოჭ, ოჭ! აბა, უეურე, როგორ დაიბრაწნენ, დედი, აბა, შეჭხედე, თითქო ნამდვილი ნაზუქებიაო.—ეძახდნენ გახარებუ-ლი ბიძინა და დარია დედასა. ორი ცხრა ნაზუქი და ერთი ცხრა ჰური, არ გეეოფა, დედოფალო?

— თქვენ-კი გაიხარეთ და ზიდვა არ უნდა? როგორ ვზი-დო მაგდენი ნამცხვარი?

გამოეცხოთ აგრეთვე წვრილი გახვრეტილი კვეკვერებიც, რომლებიც მაფზედ ასხმული დედოფალს უელზე დაჭკიდეს.—ესე-ნი, ქაჯან, შენის დებისთვის მოგინდება!

მალე ჭრელი ჩვრის ხურჯინიც გაჩნდა. ჩაულაგეს ორი ცხრა ნაზუქი, ერთი ცხრა ჰური, ოთხი წყვილი ლავაში, შა-ქარი, კამფეტები, ჩურჩხელის ნატეხი და რამდენიმე მარცვალი ჩამიჩი. გატენილი ხურჯინი დედოფალს მხარზე გადაჭკიდეს. ახლა-კი დროა წაბძანდე!

დედოფალი რაღაც უგუნებოდ იყო: არც მადლობას ეუბნე-ბოდა, არც ემშვიდობებოდა.

— მოდი, ბიძინ, ჯერ თავზე შემოგავლო, რომ შენი ხველა-სურდო ამას გაჭყვეს და მერე გავისტუმროთ.

„სურდო მეწვია ხადილად,
რა გაუკეთო სადილად?!
არკალი, ბარკალი,
სამი თაგვის ბარკალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრა შევკარ, შევპაჭიჭე,
შავსა ძაღლსა გადავკიდე,
ძაღლი ხიდზედ გამივარდა,
სურდო წყალში ჩამივარდა“.

ამბობდა დინჯად დარიკო ხველა-სურდოს ლოცვას და თან ბიძინას თავზედ დედოფალს ავლებდა. ასე გაიმეორა სამჯერ. როცა ეს ცერემონია გაათავეს, წაიყვანეს მხარზედ ხურჯინ აკიდებული დედოფალი და ქუჩის ბირად ერთ ღობეზედ შესვეს.

— აქა ბძანდებოდე, დედოფალო, სანამ ვინმე წაგიყვანდეს. ბარემ ბევრი მეზობლის ბიჭი შესცქეროდა სიმსუნაგით დედოფლის საგძლიან ხურჯინს, მაგრამ თან ფახაცი ჰქონდათ, ვაი თუ წავიყვანოთ და ამისი სურდოც ჩვენ გაგვეგესო.

იმ ღამეს ბიძინამ ოფლის ჩაი დალია, თბილად დაიხურა, ოფლი მოუვიდა და მეორე დღეს ჩიტივით წამოხტა.

ასე მოიშორა თავიდან ხველა-სურდო.

თ. რაზიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

✝ ლადო ლორთქიფანიძის ხსოვნას

(ნეკროლოგი)

ტირის და მოსთქვამს ჰატარა „ნაკადული“. მთებს და ღელეებს ეუბნება თავის წუხილსა, რომ გულშემატკივარი მოუკვდა, საშინელმა სენმა დაასამარა. ეს იყო ლადო ლორთქიფანიძე, რომელიც დღიდან არსებობისა „ნაკადულს“ ელალავებოდა, მის დავაჟკაცებას გულით ნატრობდა. ასეთი კაცი მოუკვდა „ნაკადულს“ და მიტომაც მწარედ ჰგლოვობს..

ვლადიმერ ლორთქიფანიძე

თავდადებული მზრუნველი დაჰკარგა „ნაკადულმა“, ჰმართებს კიდეც ცრემლების დაღვრა, მაგრამ რალას უშველით?!

დასამარებულ ლადოს წინაშე ჰირნათლად ვალის მოხდა კი შეგვიძლია: რაც ლადოს უყვარდა,—ჩვენც შევიყვაროთ.

დეე ჰატარა „ნაკადულის“ მკითხველებმა ფიცი დასდონ ლადოს ხსოვნის წინაშე, რომ გულით ატარებენ მისს ნაანდერძევს: ძმათა სიყვარულს, მამულის ტრფობას!

მაშინ ჰატარა „ნაკადულიც“ ჟღურტულს არ მოშლის, ლადოს ანდერძს ყველას აუწყებს.

წუნარის ლუკ-ლუკით გულს დაუმშვიდებს,—ვინც ლადოს ჰგლოვობს.

ვ. თამრიშვილი

ყველაზედ საჭირო რამ ქვეყანაზე

ავეტის ისაჰაკიანისა

(სოხურით)

ერთ დროს შორეულ აღმოსავლეთად იყო ერთი გონიერი და სამართლიანი მეფე. ჰყოლიდა სამი ვაჟიშვილი.

მეფე მოხუცებაში შევიდა და მმართველობა ჩაბარებინა ერთ-ერთ თავის მემკვიდრისათვის, რომელიც უფრო გონიერი აღმოჩნდებოდა.

ამ აზრით მეფემ დაიბარა ერთ დღეს თავისი სამი ვაჟიშვილი და უთხრა:

— საყვარელო შვილებო, ხომ ჭსედავთ, მოვხუცდი და აღარ შემიძლიან ქვეყნის მართვა. უფრო ადრე დავტოვებდი ჩემს ტახტს, თუ ასრულებული იქმნებოდა ის დიდი სურვილი, რომელიც დიდი ხანია გულში მაქვს ჩაჭრილი. ახლა ვინც თქვენ შორის უფრო ბრძნულად ახსნის იმ ჩემს სურვილს, ის მიიღებს ჩემ სახელმწიფოს, ის მოუვლის ჩემ ხალხს.

— დღეგრძელი იყოს ჩვენი საყვარელი მამა, წმინდაა ჩვენთვის მისი დიდი სურვილი. განა ისეთი რა დიდი სურვილია, რომ არ შეუძლიან ახსნას მის ბრძენს გონებას?

— აგერ ჭსედავთ იმ უშველებელ და დიდ ბეღელს, რომელიც მე გავაკეთე? ეს ბეღელი მინდოდა ისეთის განძით გამევსო, რომელიც ყველაზედ უფრო საჭიროა ქვეყანაზე და რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც შემეძლებოდა გაბედნიერება ჩემის ხალხისა. ეს ბუნებამ ჯერ ისევ ცარიელია. ახლა ვინც თქვენგანი იტყვის, რით უფრო საჭიროა მაგ ბეღლის ჰირამდე გავსება, ის იქნება ჩემი მემკვიდრე. აიღეთ ჩემი ხაზინიდან, რამდენი ფულიც გინდათ, და ცალკ-ცალკე იარეთ ქალაქიდან-ქალაქამდე, ქვეყნიდან-ქვეყნამდე, მოიკითხეთ და იშოვეთ ის, რაც უფრო საჭიროა და გაავსეთ ჩემი ბეღელი. გაძლევთ შვიდჯერ ორმოც დღეს ვადასა.

შვილები ეამბორნენ მამას ხელზე და გაემგზავრნენ.

—

მთელი შვიდჯერ ორმოცი დღე იარეს ქალაქიდან-ქალაქს, ქვეყნიდან-ქვეყანას, ჭნახეს სხვა და სხვა ჯურის ხალხი, თავის დროზე მოვიდნენ და წარსდგნენ მამის წინაშე.

— მშვიდობით დაბრუნდით, ძვირფასო შვილებო, იპოვნეთ და მოიტანეთ, რაც უველაზედ საჭირო არის ქვეყანაზე?

— დიახ, ვიპოვნეთ.

მამამ მაშინვე წაიყვანა შვილები ბეღელთან. იქ მოგროვილიყვნენ კარის კაცები და ხალხი.

მეფე მიუახლოვდა ბეღლის კარებს, გააღო და დაუძახა უფროს შვილს.

— რითი გაავსებ ამ უშველებელ ბეღელს, საყვარელო შვილო? რა მოიპოვე ისეთი, რაც ქვეყანაზე უველაზედ საჭირო არის?

უფროსმა შვილმა ამოიღო ჯიბიდან ერთი მუჭა ხორბალი, გაუწოდა მამას და სთქვა:

— ჰურით გაავსებ ამ უშველებელ ბეღელს, ძვირფასო მამავ. ნუ თუ ქვეყანაზე მოიპოვება ისეთი საჭირო რამ, როგორც ჰურია? ვის შეუძლიან უჰუროდ ცხოვრება? ბევრი ვიარე, ბევრი რამ ვნახე, მაგრამ ჰურზე საჭირო ვერაფერი ვიპოვნე.

მამამ მოიხმო შუათანა შვილი.

— რითი გაავსებ ამ უშველებელ ბოღელს, საყვარელო შვილო? რა მოიტანე ისეთი, რაც ქვეყანაზე ყველაზედ საჭირო არის?

შუათანა შვილმა ჯიბიდან ამოიღო ერთი მუჭა მიწა, გაუწოდა მამას და სთქვა:

— მიწით გავავსებ ამ უშველებელ ბოღელს, მკირფასო მამავ. ნუ თუ ქვეყანაზე მოიპოვება ისეთი საჭირო რამ, როგორც მიწა. უმიწოთ პური არ მოვა, უმიწოთ ვის შეუძლიან ცხოვრება? ბევრი ვიარე, ბევრი რამ ვნახე,— მაგრამ მიწაზე საჭირო ვერაფერი ვიპოვნე.

მამამ მოიხმო უმცროსი შვილი.

— რითი გაავსებ ამ უშველებელ ბოღელს, საყვარელო შვილო? რა შეიძინე ისეთი, რაც ქვეყანაზედ ყველაზედ საჭირო არის?

უმცროსი შვილი მტკიცე ნაბიჯით მიაუახლოვდა ბოღელს, გაიარა შესავალი და გაშინჯა უშველებელი, დიდი და ბნელი ბოღელი. ყველანი ცნობის მოყვარეობით შეჰყურებდნენ.

მერე ჯიბიდან ამოიღო ერთი პატარა სანთელი, კვესი ჩამოჰკრა ტალს, ნაპერწკალი გამოიღო და აანთო სანთელი. ყველას ეგონა, სინათლეზე უნდა კარგად გაშინჯოს ბოღელი, მისი სიდიდეო.

— აბა, სთქვი, შვილო, რითი გაავსებ?— მოუთმენლად დაეკითხა კვლავ მეფე.

— სინათლით გავავსებ ამ უშველებელ ბოღელს, ბრძენო მამავ, სინათლით. ბევრი ვიარე, ბევრი ქვეყნები ვნახე, ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ სინათლეზე საჭირო ვერაფერი ვიპოვნე. სინათლეა ყველაზე საჭირო რამ ქვეყანაზე. უსინათლოდ მიწა პურს არ გააჩენს, უსინათლოდ დედამიწაზე ადამიანი არ იქნებოდა. ბევრი ვიარე, ბევრი ქვეყნები ვნახე, ბევრი რამ ვისწავლე და შევიგენ, რომ სინათლე და მეცნიერებაა ყველა-

ზედ საჭირო ქვეყანაზე. სინათლით შეიძლება არამცდ ბრ ... რტო ამ უშველებელისა და უდიდესის შენის ბეღლის გავსება, არამედ მთელის ქვეყნისა.

— იცოცხლე,—დაიძახა სიხარულით მამამ,—შენა ხარ ღირსი ჩემის ტახტისა და სამეფოსი, რადგანაც სინათლით და მეცნიერებით უნდა გაავსო სამეფო და ხალხის გული.

— იცოცხლოს ჩვენმა ძმამ მეფემ,—დაიძახეს სიხარულით ძმებმა—მართლაც ამან იპოვნა უველაზედ საჭირო რამ ქვეყანაზე.

— იცოცხლოს ჩვენმა ახალგაზდა განათლებულმა მეფემ, დაიძახეს სიხარულით კარისკაცებმა და ხალხმა.

მამა გადაეხვია უმცროს შვილს, მერე მხრებზე წამოასხა სამეფო ბრწყინვალე მანტია, წაიყვანა და დასვა ტახტზედ.

ხალხი დიდს სიხარულს მიეცა, ილხენდა და ნადიმობდა მთელი ორმოცი დღე და ღამე—რადგან კვლავ ეღირსა გონიერსა და განათლებულს მეფეს.

ყ. კ—ისა.



აქლემი

(რუსულით)

ეცით, რა არის უდაბნო? დაუსრულებელი ქვიშიანი ველია. საითაც უნდა გაიხედო, სულ ქვიშაა და ქვიშა. დაჭბერავს თუ არა გრიგალი, ისეთი კორიანტელი ადგება, ისეთი ბურუსი წამოვა ქვიშისა, როგორც ზამთარში ქარ-ბუქის დროს თოვლის ნამქერია ხოლმე.

უდაბნო მცენარეულობას მოკლებულია: იქ არც ეკალია, არც ბალახი, არც ხეები. იშვიათად შეხვდებით წყაროს. მხოლოდ ამ წყაროს გარშემო ხარობს ბალახი და ხეები. მგზავრებიც, მწვანის ნახვით გახარებულნი, აქ ისვენებენ.

ასეთ უდაბნოში კაცმა როგორ უნდა იმგზავროს? ცხენები ქვიშაში იფლობიან, იდაღებიან. აქ სიარული მხოლოდ ერთ ცხოველს შეუძლია. ეს ცხოველი აქლემია. დიდის ტვირთითაც მშვენივრად შეუძლიან ქვიშაში სიარული. ზურგზე ერთი ან ორი კუზი აქვს, უწყლობას დიდხანს უძლებს, და სიცხესაც ადვილად იტანს. უდაბნოში-კი საოცრად ცხელა.

უდაბნოს მგზავრები მარტო არასოდეს არ მიდიან, შეიკრიბებიან რამდენიმე კაცი, თითოეულს მათგანს თავისი საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი აქლემი ჰყავს, აქლემები ერთი მეორეს მისდევენ და ერთ მუქარაზედ დიდის მანძილის გავლა შეუძლიანთ.

აქლემი უშნო-კი არის, მაგრამ სამაგიეროდ სასარგებლოა, ჭკვიანი და მორჩილი. პატრონის შეჩვევა იცის და მის ბრძანებას მორჩილებით ასრულებს.

ლ. ელიავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ალწევს თავს ციყვი უბედურებას

(ვაგნერიდან)

ეეში სეირნობის დროს, ალბად, არა ერთხელ გინახავთ ჰატარა მოწითლო-მიხაკის ფერი, მუცელზე თეთრ ზოლიანი და თავის ორსავ მხარეს ნაცრის-ფერ წინწკლებიანი ციყვი. მოგაგონდებათ ისიც, თუ როგორ გიხარიოდათ, როდესაც ეს ცელქი, მარდი, ლამაზი ცხოველი სწრაფად და მოხერხებით ხიდგან ხეზე, ტოტიდან ტოტზე დახტოდა. ციყვი თითქმის არასოდეს არც დადის, არც დარბის, მუდამ ხტის. ჩაჯფრინდება ოთხთავე თათებით ხეს და უცბად ზევით ახტება. ისე მალ-მალე მოსდევს ნახტომი ნახტომს, რომ მარტო ფოთოლთ შრიალი გესმით და გგონიათ, ციყვი ხეებზე დასრიალებსო. ციყვს ძალიან უყვარს მშრალი და ბნელი ტყეები. ამოირჩევს რომელსამე ხეს და ზედ კენწეროზედ ფუღუროში ან იქ, სადაც ტოტები იყოფა, ბუდეს იკეთებს. შიგნიდან რბილის ხავსით მოჭფენს, ხოლო გარედან გადახლართულ ტოტებს შემოახვევს. ბუდის თავზე, ცოტა ზევით სახურავს აკეთებს, რომ სახლში წვიმა არ ჩამოუვიდეს. გამოსასვლელად ციყვი სტოვებს ორ ხვრელს, ერთს---ქვემოდ, მეორეს—უფრო ჰატარას—გვერდით. გვერდის ხვრელით მაშინ სარგებლობს, როდესაც გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცდელის დროს გაქცევას დაავირებს და მტერს თავს
დააღწიოს. ციცვს წმინდად ცხოვრება უყვარს, ამიტომაც ბუდეს
დღეში რამდენჯერმე სწმენდავს და ეოველსავე მეტსა და უსარ-
გებლო ნივთიერებას ძირსა ჰყრის. ამ სახლში იფარავს და
ზრდის თავის შვილებს და ზამთრისთვის, რომელიც დიდ ხანს
გრძელდება და მეტად სუსხიანია, საკმაო სანოვაგეს ინახავს.
ფრიად სასიამოვნო სანახავია, როდესაც დედა და მამა შვილებს
ეთამაშებიან ან საჭმელს აჭმევენ, სანამ ჯერ ბუდიდან გადმოსვ-
ლა არ შეუძლიანთ. მაგრამ შემდეგაც მთელი ოჯახი ერთად
ცხოვრებას განაგრძობს, ხოლო მოხუცნი ახალგაზრდებთან ერთად
დარბიან, ბუტბუტებენ, ჩხუბობენ.

ციცვი არავისათვის მავნებელი არ არის, არავის ზარალს
არ აძლევს. მისი საქმეა მარტო მუდმივი ხტუნვა, თხილის
ღრღნა და ნამვისა და ფიჭვის თესლით ჰირის ჩაგემრიელება.
შეხტება ხეზე თუ არა, კაკალს მოღრღნის, უკანა ფეხებზე
წამოსკუჰდება და, სანამ თავის ტკბილ საჭმელს შეიქცევა, რომ
არავინ შეაწუხოს, თავის ბალნიან კუდით თავს იფარავს; კუდი
ისეთივე გრძელი აქვს, როგორც მთელი ტანი. თავის ბალნის
გრძელ კონებიან ეურებ აცქვეტილი ციცვი წინაფეხებით კაკალს
იჭერს და ბასრის კბილებით ნაჭუჭს ფხაჭნის, სანამ არ გა-
ტეხება. ეველა ამას ციცვი ფრიად სწრაფად აკეთებს. შემდეგ კა-
კალს ფეხებში უცბად გადაატრიალებს, გულს გასწმენდს, ჯერ
ენაზე დადებს და უფრო კარგად დასაღეჭად ჰირისკენ გააქა-
ნებს. თუმცა წენარი, მშვიდი ხასიათისაა, მაინც მტრები ბევრი
ჰყავს, რომელნიც მუდამ მზად არიან ციცვი სიცოცხლეს გა-
მოასალმონ. დღე და ღამე ეურები ფრთხილად უნდა ეჭირონს —
თორემ უცებ დაიღუჰება. მისი ბასრი კბილები —ძლიერ ცუდი
ფარია; ხოლო კლანჭები, ტიტველ ფეხებზე ამოსული, მართა-
ლია, ხეებზე სასრიალებლად გამოსადეგია, მაგრამ ბორო-ტონა-
ვარისაგან გაჭირვებაში მაინც ვერ იხსნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისით ონავარ მერას უნდა ერიდოს, ხოლო ღამეებს თავის დიდის, თითქოს გადმობრუნებულ, ცეცხლებრ მგზნებარე თვალებით. ეს ონავარი მტერი ელვის სისწრაფით თავს დაანცხრება ხოლმე საცოდავ ციუვს. ეს არის აგერ-აგერ სტაცებს გრძელსა და ბასრს კლანჭებს და თავის ბრუნდე, მოკაუჭებულ ნისკარტით სულს ამოართმევსო. მაგრამ ციუვმა კარგად იცის, როგორ გადაურჩეს ხიფათს. სწრაფად და მარდად შემოახტება ხის მეორე გვერდს,— ონავარი უკან მისდევს,— ამასობაში-კი ციუვი ხეს ირგვლივ შემოუტრიალებს. ამ ნაირად განუწყვეტლივ ხის ირგვლივ ტრიალებს, ფრინველი არ შორდება და ისიც, რასაკვირველია, ხის გარშემო ტრიალებს. მაგრამ მტერს არ შეუძლია ციუვს წამოეწიოს. ციუვი სწრაფად სტის ხის ერთის გვერდიდგან მეორეზე და უფრო და უფრო ზევით მიიწევს. იქ, ზევით, ჩამოტეხილ ტოტ-ქვეშ, ფუტურო არის, რომელშიაც შეუძლიან თავის დაუპატიჟებელ სტუმარს დაემალოს. აი უკვე მიუახლოვდა ციუვი და სწრაფის ნახტომით ბუდეში გაჩნდა, სადაც უკვე თავს უშიშრადა ჭვრძნობს. ონავარს მტერს იმის მეტი არა დარჩენია-რა, რომ თავის გზას გაუდგეს. გემრიელი ლუკმა, რომლითაც ჰირის ჩატკბანურებას ფიქრობდა, ხელიდგან ეცლება.

უფრო მოსისხლე მტერი ციუვისა არის კვერნა. მართალია, ჩიტივით ფრენა არ შეუძლიან, მაგრამ სამაგიეროდ ბნელაში ისევე კარგად ჭხედავს, როგორც ბუ, და ხეებზე სტუნვით და სიმარდით ციუვს არ ჩამოუვარდება. დიდი ხანია აგერ კვერნამ ციუვი ამოიღო ნიშანში, იცის, სად იმეოფება მისი ბუდე და სად არის მისი საყვარელი ადგილი. თითქოს ქურდი ან ავაზაკიაო, ნელ-ნელა ეპარება მსხვერპლს და თანდათან უახლოვდება. აი უკვე კარგა მაღლა აცოცდა ხეზე ციუვი-კი განსაცდელს ვერა გრძნობს, არხეინად ზის და რკოს შეექცევა. კვერნა შედგა, თავისი მხეცური თვალები დააჭყიტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს არის უნდა დაეტაკოს, მაგრამ, საბედნიეროდ, ციცვმა თვალი მოჰკრა კვერნას. მან კარგად იცის, რაც მოელის, თუ ცოტა დაიგვიანა. აი, როდის უნდა გამოიჩინოს მან სისწრაფე და სიმარჯვე. სის ძლიერ ტოტზე ხელ-ახალი ნადირობა იწყება: ორთავე მსეცი—მსხვერპლი და მტაცებელი,—შვილ-დიდგან გამოტეორცნილ ისარივით უფრო მაღლა და მაღლა მიისწრაფიან. კვერნა ეს არისა უნდა წამოეწიოს ციცვს, კიდევ ერთი წამი და თავის მსხვერპლს ჰირს სტაცებს. მაგრამ ციცვი უკანასკნელ ტოტზე მოულოდნელ ნახტომს აკეთებს, კვერნა უკან მისდევს და ნადირობა ისევ განახლდა. ბუდეში დამალვაზე ფიქრიც არა ღირს: კვერნა უსათუოდ შეცოცდება იქაც და საწყალ ციცვს ვეღარა იხსნის-რა. ამიტომაც ციცვი ფუტურუს გვერდით გაუხტება, და უფრო მაღლა და მაღლა, მწვერვალის უკანასკნელ წვრილ ტოტებისაკენ მიისწრაფის. დიდი ხნის უთავბოლო ნადირობამ კვერნა მხოლოდ უფრო გააცხარა. დარწმუნებულია, მსხვეპლი ახლა ვეღარსად გაუსხლტება: ზევით ასვლა აღარ შეიძლება, ქვემოდ-კი მე დაუხვდებიო. ახლა კი მწარედ უნდა დაისაჯოს, რადგანაც მდევარი ასე უწყალოდ დაღალა. კვერნა ჩაჯდა, უკანასკნელ ნახტომისათვის ემზადება. ახლავე ჰირს სტაცებს და სიცოცხლეს გაუმწარებს. მაგრამ ციცვმა აქაც კარგად იცის, როგორ დააძროს თავი განსაცდელს. უკანასკნელ ტოტიდან ჰაერში გადაეშვება, ოთხივე ფეხებს სწორად იშვერს წინ, ხოლო დიდს, ბანჯღვლიან კუდს უკან, ჰაერში. ნელნელა ფრინველივით მოძრაობს და ძირს წყნარად ეშვება. მხოლოდ აქ, ჰაერში მოგზაურობის შემდეგ, სულს მოიბრუნებს, ბეწვს შეისწორებს და მხიარულად, სკუპ-სკუპით შუაგულ ტეისაკენ მოჰკურცხლავს. იქ ის ეოველს ხეს იცნობს, ზედ მრავალჯერ ეოფილა. სწრაფად მოსძებნის ხმირ ფოთლებიან ხეს და დაბურულ ტოტებში ეშმაკურად იმალება. კვერნა-კი გულმოსული ბურთსუნებს და ჯერ ისევ, თითქოს გონს

ვერ მოსულაო, მუხის მწვერვალზე ზის. გემრიელი ბუჟა ცხვირ-წინ ჰქონდა და უცბად-კი გაუსხლტდა ხელიდან. ათასი მარდი, სწრაფი იყოს, ხიდან ჩამოხტომას მაინც ვერ გაბედავს. ძირს ჩამოსასვლელად ისევ ძველებურ, გრძელ გზით უნდა დაბრუნდეს, იმ გზით, რომლითაც იწყება აბრძანება. ამასობაში საკმაო ხანი გადის და ციყვის კვალს ადვილად ველარ მიაგნებს.

კვერნაზე ნაკლები ძტერი ციყვისათვის არც სუსხიანი შემოდგომა არის. მის მოახლოვებისათანავე ციყვს იმდენი საზრუნავი საქმე უჩნდება, რომ დარდისაგან ჭადარა ერევა. მართლაც და ზამთრისათვის სრულიად ჭადარავდება. საზამთრო თეთრ ქურქში გახვეული ციყვი სრულებით აღარ წააგავს იმ მისაკის ფერ ცხოველს, როგორიც ზაფხულში იყო. ციყვი რამდენისამე საათის წინად გრძნობს ცუდ ამინდის მოახლოვებას, შემვრება თავის სოროში და ორთავე ხვრელს ჭხშავს, გორგალივით მოიბღუნება იქ და რამდენისამე დღის განმავლობაში წევს უძრავად. მხოლოდ აუტანელი ძიმშილი აიძულებს გარედ თავი გამოჭყოს. როცა შიმშილი ძალზე შეაწუხებს, მიემგზავრება იმ საკუჭნაოებისაკენ, სადაც საზამთროდ სანოვაგე შეინახა, კარგა გაძღება და ისევ საჩქაროდ სახლში ბრუნდება. ნაადრი სუსხიანი შემოდგომა მეტად საშიშია ციყვისათვის, რადგანაც ზამთრის დადგომამდის ათავებს მთელ სანოვაგეს, და შესაძლოა თავის შვილებით შიმშილით სული ამოხდეს. დადგება თუ არა გაზაფხული, ციყვი თავის ჭადარა ქურქს იცვლის, ისევ მისაკის ფერ ცხოველად იქცევა და ხიდან ხეზე ხტუნვას მსიარულად, უდარდელად განაგრძობს.

დ. ყიფიანი

ვირის თავგადასავალი

XVI მედოქრი

(ფრანგულით)

ბიდევ დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს შევეხვეწე, მეორედ ნულარ იზამ მაგ საქმესა მეთქი. ბი-რობა მივეცი, რომ სათითაოდ გადუხდიდი სამაგიეროს, და კიდეც ავასრულე. ერთ დღეს ჭული თავის დით თხრილში ჩავეარე და მივანებე თავი, მეორედ გამოუდეგ მათს ბატარა, სამის წლის ძმას, ვითომ საგბენად. ის შეშინებული გარბოდა წივილ-კივილით. მე-კი მიხაროდა. ერთხელაც, ვი-თომ ავად გავხდი, გავგორდი მიწაზე და მთელი კალათა კვერცხი დავამტვრიე, რომელიც ზედ მეკიდა. ბატრონმა ვერა მცემა, მართლა ავადმყოფი ვეგონე და, რომ მომკვდარვიყავ, ხომ დაეკარგებოდა ის ფული, რომლითაც მიყიდა, ასე რომ, ცემის მაგივრად, დამბინავა, ქატო მაჭამა და თივა მოცა. ასეთი კაი დროება არასოდეს არ გამიტარებია იმათსა. სადა-ზედ უამბე მედოქრს ეოველივე, და ვიხოცებოდით ორივენი სიცილით. ერთხელ კიდევ დავინახე გაფენილი სარეცხი, ავიღე სათითაოდ და დაგროვილ ბატივში ჩავეარე; არავის არ დაუ-ნახივარ. სახლის ბატრონმა რომ სარეცხი ველარ დაინახა, დაუ-წეო ძებნა და, როცა დაინახა, ბატივში ჭერია ამოსვრილი, სა-შინლად გაანჩხლდა, მისწვდა გოგოს, დაუწეო ცემა გოგო მივარდა ეშაფვილებს, და აანიოკა; ეშაფვილები დაერივნენ ძა-ღლებს, კატებს, ხბორებს, ცხვრებს და ისეთი ღრიანცელი,

ლანძღვა-გინება ასტეხეს, რომ გულს მომეფონა. იმ ღამესაც
მე და მედორმა ბევრი ვიცინეთ და ვიმხიარულეთ ამაზედ. მა-
სუკან რომ ვიგონებდი ამ ჩემ ბოროტებას, ბევრს ვნანობდი,
რომ აღარავის ვინდობდი—ბრალიანსა და უბრალოს. მედორი
ხანდისხან მარიგებდა, მირჩევდა მშვიდობიანს ცხოვრებას, მა-
გრამ მე ეურს არ უგდებდი და თანდათან უფრო გავბოროტდი.
სასჯელიც მომელოდა როგორც ბოლოს შეიტეობთ. ერთ ჩემ-
თვის სამწუხარო და სამგლოვიარო დღეს დავინახე ერთი
კაცი, რომელმაც მედორს მოჰკრა თვალი, დაუძახა, უალერსა
და მასუკან ას ფრანკათ იეიდა ფერმერისგან, რომელსაც დი-
დათ ესიამოვნა ეს ფული, რადგანაც ეგონა, ჩემი ძალი არა-
ფერი ჭღირსო. ჩემ საბრალო მეგობარს მოაბა თოკი ახალმა
პატრონმა და თან წაიყვანა. რა მწუხარებით შემომხედა! მინ-
დოდა გამეცილებინა, მაგრამ ღობე კარგად იყო შეკრული და
ვერსაიდან ვერ გავძვერი, რომ უკანასკნელად გამოვსალმე-
ბოდი ჩემ მეგობარს. იმ დღიდან საშინლად დავნაღვ-
ლიანდი და პატარა ხანს უკან სენტევრულის ტყეში გავიქეცი.
რამდენსამე წელიწადს ხშირად ვიგონებდი ჩემ მეგობარს და
საშინლად მომინდა მისი ნახვა, მაგრამ სად ძებოვნა; ვიცოდი
მისი ახალი პატრონი სხვა მხრიდან იყო მოსული. რო-
დესაც თქვენს ბებიასთან მომიყვანა ჟაკმა, იფიქრეთ ჩემი ბედ-
ნიერება და აღტაცება, როცა რამდენისამე ხნის შემდეგ ბიძა
თქვენს მოჰყვა მედორი, ჩემი საყვარელი მეგობარი მედორი!
უნდა გენახათ საერთო განცვიფრება, როდესაც მედორი მეცა
და ათასნაირის ალერსით მიცხადებდა სიყვარულს. მეც აღარ
ვშორდებოდი. ჯერ იფიქრეს, მედორს სოფელში მოსვლა უხა-
რიანო და ჩემიც ეგონათ, მოგზაურობის მეგობარი ვიშოვ-
ნეთო. ჩვენი ენა რომ გაეგოთ, შეიტეობდნენ, რაც გვაერთებ-
და. მედორი კმაყოფილი დარჩა, რაცა შეიტეო ჩემი განცხრო-
მით ცხოვრება ახალ და კეთილ პატრონებთან. უამბე, რა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელიც დავიმსახურე ამ ქვეყნად. სწუხდა, როცა ჩემ-ზედ ბინა-დელ უბედურებას უამბობდი და ბევრი იცინა, როდესაც დაწვ-რილებით შევატყობინე, როგორც მოვექეცი იმ ფერმერს, რო-მელმაც ჟორჟისაგან მიიიდა; ძალიან იამა ჩემი გამარჯვება დოღში; შესწუხდა, რომ ჰოლინას მშობლები ისე ცუდად მო-მეპურნენ, და ცრემლებიც ჩამოსცვივდა საბრალო ჰოლინას უბედურებაზე.

ან. ამილახვრისა

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

ჰირველი ჰქვია ჰატარა ძაღლსა,
მხოლოდ ესაა,— „ანი“ აკლია;
მეორე არის მცირე ნაკადი...
ბაღი— ბოსტანი მით მორწყულია:
მესამე არის ქათმების მტერი,
ყოველთვის ტყეში მიმალულია;
სამივე მხოლოდ ერთი სიტყვაა,
საალერსოდ წარმოთქმულია.

***

რ ე ბ უ ს ი



რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე-წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობ ს უწევს საგანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, ბოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერ ი:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი